ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N345

თბილისი 17 ოქტომბერი 2014 წ.

ერთის მხრივ **მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა** (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის **ალექსანდრე გრიგალავას** სახით და მეორეს მხრივ **შპს ,,იუ–ჯი–თი"** (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ერმილე სულაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონითა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;

1.1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.1.6. სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

1.1.7. თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ 14 ცალი სტანდარტული პერსონალური მაგიდის კომპიუტერის - დესკტოპი (კომპლექტი: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი) (შემდგომში „საქონელი") სახელმწიფო შესყიდვა დანართი #1–ის და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. სახელშეკრულებო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა (შემდგომში „სახელშეკრულებო ღირებულება") 10822 (ათი ათას რვასოცდაორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

4.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს პასუხი ყველა საკითხზე;
4.1.3. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება აწარმოოს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;
4.1.4. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;
4.1.5. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:
4.2.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი მურმან სურმავა;
5.2. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდებისას, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხი და ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა.

6. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;
6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა;
6.3. მიწოდებულ საქონელთან ერთად მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს შემსყიდველს შემდეგი დოკუმენტაცია: საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში), სასაქონლო ზედნადები, საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ქარხნული წესით შეფუთულ მდგომარეობაში;
7.2. საქონლის მიწოდებისას გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.
7.3. მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება უნდა განხორციელდეს მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით, სადაც მიეთითება მიწოდებული საქონლის დასახელება, რაოდენობა და ფასი. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე მიწოდებული საქონელი ჩაითვლება შემსყიდველის მიერ მიღებულად.
7.4. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე (მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე) უფლებამოსილი პირია მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი მურმან სურმავა მიმწოდებლის მხრიდან - პროექტების მენეჯერი, გელა გაფრინდაშვილი;

8. გარანტია

8.1. შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება მწარმოებლის საერთაშორისო საგარანტიო პოლიტიკის შესაბამისი საგარანტიო მომსახურება სამი წლის ვადით;

8.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი, რის საფუძველზეც ხარვეზის აღმოსაფრხველად შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული აღმოფხვრას მოთხოვნიდან და საგარანტიო საქონლის მიმწოდებლის სერვის ცენტრში (თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

9.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

9.3. სახელშეკრულებო ღირებულების 100%-ის ანგარისწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში.

9.4. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

10.2. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების (გონივრულ ვადაში) შემდეგაც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება; ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალიწინებული წესის შესაბამისად;

10.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

10.3.1. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

10.3.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

10.4. თითოეული მხარე უფლებამოსილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების/ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით;

10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.6. პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო;

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება

ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით;

12.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

12.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ორი კვირით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

14.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი

მიმწოდებელთან, ხოლო ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

15.4. ხელშეკრულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა
მარტვილი, თავისუფლების ქუცა N10,
ს/კ 235447343

საბანკო რეკვიზიტები:
სს „ლიბერთი ბანკი"
BIC კოდი: LBRTGE22
ა/ა GE50LB0120126551054000

მიმწოდებელი:

შპს „იუ-ჯი-თი"
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა
ს/კ 204892964

საბანკო რეკვიზიტები:
სს "საქართველოს ბანკი"
BIC კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE88BG0000000261644601

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ალექსანდრე გრიგალავა

გენერალური დირექტორი

ერმილე სულაძე

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №345 17.10.2014წ.

დანართი №1

ფასების ცხრილი

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებელი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	**Acer V226HQLBD Monitor**	**Monitor**: 21.5", 16:9, 1920x1080, 5ms, 170/160, 30,000,000:1, 250cd/m, -5+25, DVI, VGA **Warranty 3 years**	ცალი	14	185.00	2590
2	**Acer Veriton X2631G Desktop PC**	**Desktop**: i3 4130, 4GB, 500GB, 10/100/1000, DIMM - 2x, Dual Channel; PCI-E 16x - 1x, PCI-E 1x - 1x, USB 3.0 2x rear, USB 2.0 4x back, DVI-D, VGA, Keyboard, Mouse **Warranty 3 years**	ცალი	14	588.00	8232
					სულ დღგ-ს ჩათვლით:	**10822**

შემსყიდველი:

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა
მარტვილი, თავისუფლების ქუცა N10,
ს/კ 235447343

საბანკო რეკვიზიტები:
სს „ლიბერთი ბანკი"
BIC კოდი: LBRTGE22
ა/ა GE50LB0120126551054000

მიმწოდებელი:

შპს „იუ-ჯი-თი"
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა
ს/კ 204892964

საბანკო რეკვიზიტები:
სს "საქართველოს ბანკი"
BIC კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE88BG0000000261644601

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ალექსანდრე გრიგალავა

მენერალური დირექტორი

ერმილე ტულაძე

სავალდებულო მოთხოვნები	მოთხოვნილი ტექნიკური მახასიათებლები	მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ტექნიკური მახასიათებლები
მონიტორი:		
მწარმოებელი ქვეყანა:		**Acer V226HQLBD LED Monitor**
ტიპი	21,5" Widescreen უკანა LED განათებით ან უკეთესი	ჩინეთი
ფორმატი	16:09	21,5" Widescreen უკანა LED განათებით
მატრიცის ტიპი	TN	16:09
გარჩევადობა	1920x1080	TN
კონტრასტულობა	დინამიური 3 000 000:1 ან უკეთესი	1920x1080
სიკაშკაშე	250 ცდ/მ2	დინამიური 100 000 000:1
უკანა განათების სამუშაო ციკლი	არანაკლებ 30 000 საათი	250 ცდ/მ2
ხედვის კუთხე	170° ჰორიზონტალი ან მეტი 160° ვერტიკალი ან მეტი	არანაკლებ 30 000 საათი 178° ჰორიზონტალი ან მეტი 178° ვერტიკალი ან მეტი
უნდა გააჩნდეს Plug and Play ტექნოლოგიის მხარდაჭერა		Plug and Play ტექნოლოგიის მხარდაჭერა
დახრის კუთხე	არაუმეტეს –5, არანაკლებ +15 გრადუსი	–5, +15 გრადუსი
ვიდეო პორტები	DVI, VGA	DVI, VGA
მონიტორს უნდა მოყვებოდეს შესაბამისი კვების კაბელი და ვიდეო კაბელები	DVI და VGA	DVI და VGA
სისტემური ბლოკი:		
მწარმოებელი ქვეყანა:		**Acer Veriton X2631G SFF Desktop PC**
პროცესორი:		ჩინეთი
ბირთვების რაოდენობა	არანაკლებ 2 (ოთხი)	Intel Core i3-4130
არქიტექტურა	(3 თაობა „Ivy Bridge" ან უკეთესი); არქიტექტურა: x86, x64 ბიტი	2 ბირთვი 4 თაობა, Haswell
ნაკადების რაოდენობა	არანაკლებ 4 (ოთხი)	4
L3 „ქეში"	არანაკლებ 3 მეგაბაიტი	3 მეგაბაიტი
ტაქტური სიხშირე	არანაკლებ 3.20 GHz	3.40 GHz
უნდა გააჩნდეს ვირტუალიზაციის მხარდაჭერა		ვირტუალიზაციის მხარდაჭერა
დედაპლატა		
ჩაშენებული ვიდეო პლატა	DX10-ის ან DX11-ის მხარდაჭერით	DX10-ის ან DX11-ის მხარდაჭერით
მყარი დისკის კონტროლერი	SATA, არანაკლებ 3 ინტერფეისისა	SATA, 3 ინტერფეისი
ჩაშენებული ქსელის ადაპტერი	RJ-45 10/100/1000	RJ-45 10/100/1000
გაფართოების სლოტები	DIMM სლოტი (Dual Channel-ის მხარდაჭერით) - 2 ცალი ან მეტი; PCI-E 16x - 1 ცალი ან მეტი; PCI-E 1x - 1 ცალი ან მეტი	DIMM სლოტი (Dual Channel-ის მხარდაჭერით) - 2 ცალი ან მეტი; PCI-E 16x - 1 ცალი ან მეტი; PCI-E 1x - 1 ცალი ან მეტი
პორტები	USB 2.0 ან უკეთესი: 6-ცალი ან მეტი, აქედან მინიმუმ 2 სისტემური ბლოკის წინა პანელზე და მინიმუმ 4 უკანა პანელზე	USB 6-ცალი, აქედან 2 ცალი USB 3.0 სისტემური ბლოკის წინა პანელზე 4 ცალი USB 2.0 უკანა პანელზე
გრაფიკული ინტერფეისები	ერთი DVI-D ინტერფეისი და ერთი VGA ინტერფეისი	ერთი DVI-D ინტერფეისი და ერთი VGA ინტერფეისი
ოპერატიული მეხსიერება	არანაკლებ 4096მბ ერთი მოდულით; ტიპი: DDR3 (1333MHz) ან უკეთესი	4GB ერთი მოდულით; ტიპი: DDR3 (1600MHz)
მყარი დისკი	მოცულობა: არანაკლებ 500გბ; ბრუნვის სიჩქარე: არანაკლებ 7200rpm; ინტერფეისის ტიპი: SATA 6Gb/s, მეორე მყარი დისკის მონტაჟის შესაძლებლობით	500 GB 7200 rpm SATA 6Gb/s
DVD/CD წამკითხველი (DVD/CD Rom)	სავალდებულო არაა. სისტემურ ბლოკს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1 DVD წამკითხველისთვის განკუთვნილი თავისუფალი ადგილი	სისტემურ ბლოკს აქვს 1 DVD წამკითხველისთვის განკუთვნილი თავისუფალი ადგილი
კლავიატურა: მოდელი, ქვეყანა)	(მწარმოებელი, სტანდარტული, მინიმუმ 104 კლავიშიანი, USB	Acer კლავიატურა 104 კლავიში USB
მაუსი: მოდელი, ქვეყანა)	(მწარმოებელი, ოპტიკური USB (scroll-ის ფუნქციით)	Acer მაუსი USB (scroll-ის ფუნქციით)
ოპერაციული სისტემა	Free OS	Free OS

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია
MARTVILI MUNICIPALITY ADMINISTRATION
23544 7343
GEORGIA

UGT. GEORGIA
204892964